# ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# ბიუროს სხდომის

## ოქმი №21

28 დეკემბერი, 2021 წელი

საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის ოქმი № 21

ქ. ხონი 28 დეკემბერი, 2021 წელი

2021 წლის 28 დეკემბერს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. ბიუროს 11 წევრიდან სხდომას ესწრებოდა: გელა ჩოგოვაძე, კობა კუბლაშვილი, არჩილ საღარაძე, ზურაბ მიქაძე, ზაზა ვაშაკიძე, ზაზა რუხაძე, დემურ სულაბერიძე, კახა ფირცხალავა.

სხდომა დაიწყო 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა 13:00 სთ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.
3. ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი:** ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მიქაძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი:** „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.
მომხრე -9

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი:** ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დემურ სულაბერიძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა 2021 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
   მომხსენებელი: ზურაბ მიქაძე - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა)უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.
   მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.
3. ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.
   მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: ნათია ქურასბედიანი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წევრთა

გაფრთხილებისა და რეგისტრაციის ფურცელი

თარიღი 28.12.2015.  საათი 11 სთ.30 წთ.

| N | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1 | ვალერი ბახტაძე | |
| 2 | გელა ჩოგოვაძე | |
| 3 | კობა კუბლაშვილი | |
| 4 | არჩილ საღარაძე | |
| 5 | ზურაბ მიქაძე | |
| 6 | ზაზა ვაშაკიძე | |
| 7 | გურამ ბახტაძე | |
| 8 | ზაზა რუხაძე | |
| 9 | დემურ სულაბერიძე | |
| 10 | კახა ფირცხალავა | |
| 11 | ბესარიონ ჭელიძე | |